ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4853175

ნომერი: AR1732582

თარიღი : 04.02.2020

გაცემის თარიღი : 07.02.2020

გაცნობის თარიღი : 08.02.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 56;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ქუთათელაძე პ/ნ 37001008060
- სამტრედია ძნელაძის 172

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

2020 წლის 4 თებერვლის №AR1732582 განაცხადთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020

წლის 4 თებერვალს №AR1732582 განცხადებით მომართა შოთა ქუთათელაძემ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის № ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი IV, ნაკვ. N07/065, N01.10.07.007.065 საკაადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2020 წლის 27 იანვრის №4835675 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 27 იანვრიდან 2022 წლის 27 მაისის ჩათვლით
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ავტოსადგომების ფართობი 3803.0 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3632.5 კვ.მ, .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 2843.0 კვ.მ-ის ნაცვლად 2843.9 კვ.მ, კომერციული ფართობი 511.0 კვ.მ-ის ნაცვლად 510.4 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობი 23816.6 კვ.მ-ის ნაცვლად 23646.4 კვ.მ. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, შესაბამისი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის -1 სართულისა (4 ავტოსადგომი, საერთო ფართობით - 54.8მ$^2$) და 1 სართულის გეგმაზე (19 ავტოსადგომი, საერთო ფართობით - 267.8 კვ.მ) დაფიქსირებული ავტოსადგომები წარმოადგენს ღია ავტოსადგომებს, რომლებიც ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არ შედის და აქედან გამომდინარე, ავტოსადგომის ფართობში, ისევე როგორც საერთო ფართობში ვერ დაფიქსირდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა ღია ავტოსადგომების ცალკე ფართობად დაფიქსირებასთან დაკავშირებით. ასევე, სამსახურმა დაადგინდა, რომ წარმოდგენილ გეგმა-ნახაზზე -1 სართულზე, შენობის შიდა ავტოსადგომების ჯამური ფართობი არ შეესაბამება ექსპლიკაციაზე დაფიქსირებულ ავტოსადგომების ჯამურ ფართობს.
საჯარო რეესტრი ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: N892018230630, მომზადების თარიღი: 02/04/2018) თანახმად, N01.10.07.007.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ელენ ჰაუსი“ (N438731197). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18019459, 20/02/2018) თანახმად შპს „ელენ ჰაუსი“-ს (N438731197) დირექტორს წარმოადგენს შოთა ქუთათელაძე (პირადი: N37001008060).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შესწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დაევალოს განმცხადებელს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1 დაზუსტოს მოთხოვნა ღია ავტოსადგომების ცალკე ფართობად დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
1.2 წარმოდგენილ იქნას შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები, რომელზეც მითითებული ფართობების ჯამი შესაბამისობაში იქნება ექსპლიკაციაში მითითებულ ფართობებთან. ასევე, საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2020 წლის 4 თებერვლის №AR1732582 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge